

ორი ეკა გენდერულ ბალანსს ვერ ქმნის

ქალის წარმატებულმა და მრავალმხრივმა მოღვაწეობამ სუსტი სქესის ცნება წარსულში დატოვა. ქალს უკვე შესაძლებელია მმართველობის ამბიცია აქვს, ქალი ზის მოლაპარაკებების მაგიდასთან, ქალი აქტიური ბიზნეს პარტნიორია და კიდევ, ქალები მინისტრების პორტფელსაც ეუფლებიან.

საქართველოს ახალ მთავრობაში ერთი ქალბატონი მინისტრი და ერთი გენერალ-მაიორი. ქვეყნის პრეზიდენტმა თავის პირველ საპრეზიდენტო ვადაში უფრო აქტიურად იზრუნა სამთავრობო გენდერულ ბალანსზე და ოთხი სამინისტრო მაშინ მშვენიერ სქესს გადააბარა. 2004 წელს რევოლუციური მთავრობის კაბინეტის წარდგინების ტონალობაში იყო იუმორის ელემენტები. „ოთხი ქალი არასოდეს ყოფილა საქართველოს მთავრობაში, შესაძლოა, სჯობდა პრემიერ-მინისტრიც ქალი ყოფილიყო, მაგრამ რაც არის ეს არისო, ხუმრობით გადაუტყრა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრემიერ ყვანიას, — პრეზიდენტი ქალიც არ ვაწყენდაო, ნახევრად ხუმრობით უპასუხა ყვანიამაც.

არცთუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ სამინისტროებს: თამარ ბერუაშვილი — სახელმწიფო მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში, ინფრასტრუქტურის — თამარ სულუხია, გარემოს დაცვის მინისტრი — თამარ ლეხანიძე, ხოლო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი — ეთერ ასტეშიროვა.

2008 წლის ახალ მთავრობაში თამარები დასავლური განათლებისა და სამუშაო პრაქტიკის მქონე ორმა ეკამ შეცვალა.

ეკა შარაშიძე ეკონომიკური განვითარების მინისტრი გახდა.

34 წლის ქალბატონი მინისტრის ბიოგრაფია საკმაოდ ვრცელია:

სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ეკატერინე შარაშიძე

გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 15 წელი დაყო. მან წარჩინებით დაამთავრა ბაკალავრიატი სენტ-ჯოზეფის, ასევე პენსილვანიის უნივერსიტეტში, დაიცვა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში, ინგლისურ ენაში და ხელოვნების ისტორიაში, შემდეგ მაგისტრის ხარისხი საჯარო პოლიტიკაში პარფარდის უნივერსიტეტის მმართველობის კენედის სკოლაში და მაგისტრის ხარისხი ასევე ბიზნეს ადმინისტრირებაში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის მენეჯმენტის სკოლაში. თავისუფლად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, საუბრობს გერმანულად და ფრანგულად.

აქვს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმაგი მოქალაქეობა.


2006-2008 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის

უფროსი, მანამდე კი საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი ეკონომიკური განვითარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში. მას თითქმის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და და გერმანიაში. მრავალმხრივი იყო მისი საქმიანობა დაწყებული „ბუზ ალენ ჰამილტონში“ მენეჯმენტ კონსალტინგიდან, დამთავრებული „გოლდმან საჩსმი“ საინვესტიციო ბანკივით, სარისკო კაპიტალის მართვით „სტარტ აპ ავენიუზე“ სილატაის დაძლევისა და ექრძო სექტორის განვითარებისათვის მუშაობით გაეროში.

ეკა ტყეშელაშვილის ბიოგრაფიას რაც შეეხება, მასშიც აღმავალი დინამიკაა: წარჩინებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი, მუშაობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში იურისტად, 2001-2002 წლებში პრაქტიკას გადიოდა ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალში ბრალდებულის ოფისში



ეკა ტყეშელაშვილი



ეკა შარაშიძე

გენდერ-ნიუანსები

XXX

სხვახან ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, რუსეთის დედაში 62 დეპუტატი ქალი აღმოჩნდა. წინა მოწვევასთან შედარებით ეს მონაცემი 18-ით მეტია. საინტერესოა ხალხის რჩეულთა ხარისხობრივი შემადგენლობა: მათ შორის არიან მიმზიდველი სპორტსმენები და ელიტარული ქრონიკის გამირები: სვეტლანა ყუროვა, ალინა კაბაევა, სვეტლანა ხორკინა, სპორტის ოსტატი კრივში, პროფესიით ადვოკატი ნატალია კარაპოვიჩი. ისინი არაერთხელ გადაიღეს, გამოწვევი სახით, მამაკაცური ურთიერთობისათვის და ზოგიერთი კოლეგა-დეპუტატისთვის, ალბათ, ძნელი იქნება ამ სურათების დაიწვევა. ყველაზე „მამაკაცური“ რეკვ-ს ფრაქცია აღმოჩნდა (57-დან მხოლოდ 4 ქალი), სქესთა თითქმის ასეთივე ბალანსია რლდ-ში და „ედინაია როსიაში“, სამაგიეროდ, „სპრავდლივია როსიაში“ პირდაპირ გენდერული წინსვლა (38-დან 11 ქალი).

XXX

6 თებერვში დანიაში ვადამდე-ლი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. დღის წესრიგში საინფორაციო პოლიტიკის გამკაცრების საკითხიც იდგა. ზედისედეგ მესამედ გაიმარჯვა ლიბერალურმა და კონსერვატორულმა ბლოკმა, მაგრამ ამასთან მმართველმა პარტიამ ხმები დაკარგა. მეორე მხრივ, წინა არჩევნებთან შედარებით მეტ პროგრესს მიაღწია სოციალისტურმა სახალხო პარტიამ, რომელიც ყველაზე ინტერნაციონალურია. მან შექმნა თავისი წარმომადგენლობა პარლამენტში 12-ით გაეზარდა და კიდევ უფრო სასიხარულო ცნობა: დანიის ისტორიაში პირველად, პარლამენტში მოხვედა ორი ქალი — ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ორივე მათგანი თურქეთიდანაა, თუმცა ცხოვრების დღი ნაწილი დანიაში გაატარეს.

XXX

ბეროს განვითარების პროგრამის პროექტის „გენდერი და პოლიტიკა“ ფარგლებში ჩატარდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანაც იყო, თითოეული სფეროდან გამოველინა ის სტრუქტურა თუ კომპანია, რომელიც დაკულია გენდერული პრინციპი. ბიზნეს-სექტორიდან გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის და სამრეწველო საავტო პალატის წევრებს შორის. გამოკვლევა 15 კომპანია, რომლებშიც ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმების მიხედვით გენდერული ბალანსი სრულადაა დაცული, მათ შორის არიან ისეთი კომპანიები, როგორცაა: „ეი აი ჯი საქართველო“, „შპს „აგროტექნიკა ჯგუფი“, „იბერია ჯგუფი“, სს ინჟინერი, სს „საქტრანსპორტოქიმი“ — მწვანე ოფისი“, „შპს „საინჟინერიო ქარხანა“ და სხვა. დასაქმების საერთო რაოდენობის მიხედვით კი, გენდერული თანასწორობით გამოირჩევიან შემდეგი კომპანიები: ფონდი „ქართული ხარისხი“, საკონსულტაციო ჯგუფი „დემკ“, შპს „ტრანსპორტოქიმი“, „კატონი და კომპანია“, „ჯორჯია ონლაინი“, „ჩენელ ენერჯი ლიმიტედი“, ტელეკომპანია „მესტრო“ და „სილქ როულ ჯგუფი“.

თეა ზიზიბაძე

„სიებში ქალები დამსახურების მიხედვით მოხვდებიან“

საქართველოში, 2007 წლის საუკეთესო პოლიტიკოსის ტიტული ქალბატონს ერგო. წლის საუკეთესო პოლიტიკოსად პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დასახელდა. იმერეთის რეგიონული გენდერული თანასწორობის ცენტრში მიაჩნიათ, რომ ქართულ პოლიტიკაში გეზი მიზანმიმართულია იქითკენ, რომ ქალბატონების რიცხვი პოლიტიკაში ხართულდობის კუთხით რაც შეიძლება გაიზარდოს.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის თემა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების პარალელურად კიდევ უფრო აქტუალური ხდება. როგორია საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების სამშენებლო გენდერული კუთხით, რა მნიშვნელობას ანიჭებენ ქალთა როლს პოლიტიკური პროცესების წარმართვაში და როგორ იქნება ქალთა წარმომადგენლობა პარტიულ სიებში ადგილობრივ დონეზე? ამის გასარკვევად პოლიტიკური პარტიების ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს გავსაუბრეთ.

პოლიტიკური პარტიების ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერები პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თვლიან, რომ ქალბატონების ადგილი პარტიულ სიებში აუცილებლად იქნება. თუმცა, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომელთაც მათი აზრით პარტიულ სიებში მოხვედრის მსურველი ქალბატონები უნდა აკმაყოფილებდნენ.

„რესპუბლიკური პარტიის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაში 7 წევრიდან 2 მანდილოსანია. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვიკა ნაკაშიძის თქმით, ცენტრშიც და ადგილზეც საკმაოდ ბევრი აქტიური ქალბატონია წარმოდგენილი პარტიის ხელმძღვანელის სტრუქტურაში.

„მათი აქტიურობა და წარმოჩენა არ მომხდარა იმის გამო, რომ ქალბატონები არიან. მათ თავიანთი შესაძლებლობებით და შრომით მიაღწიეს ამ პოზიციას,“ — ამბობს ვიკა ნაკაშიძე.

ნაკაშიძეს, პარტიულ სიებში ქალთა წარმომადგენლობა კვოტირებით მიუღებლად მიაჩნია. მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნებისთვის სიაში იქნება იმდენი ქალბატონი, რამდენიც აქტიური და ლირსეულია.

„იმის გამო, რომ მხოლოდ ქალია და ვილაცსთან რაღაც პროცენტებით მოვიწონოთ თავი, ამის გამო არ მოხდება არავის ჩასმა. სიებში ქალები დამსახურების მიხედვით მოხვდებიან,“ — ამბობს ნაკაშიძე.

პარტიული სიების შედგენის დროს ბუნებრივი გადარჩევის პრინციპს მიიჩნევს ყველაზე მიზანშეწონილად, ასევე, „ლეიბორისტული პარტიის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამსონ გუგავა. მისი თქმით, პარტიულ სიაში ადგილს მხოლოდ ლირსეული მოიპოვებს.

„როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო, ხუთი ქალბატონი გვეყავა პარტიულ სიაში. გენდერული ბალანსი ამჟერადაც დაცული გვექნება, რადგან ბევრი აქტიური ქალბატონი გვეყავს, რომლებიც

იმსახურებენ ადგილს. მაგალითად, ბაღდათში კოორდინატორი ქალბატონია, ასევე ხონში. ადგილი შესაძლებელია, პარტიამ იმსჯელოს და წარმოადგინოს ისინი სიაში წინა პლანზე,“ — ამბობს სამსონ გუგავა.

პარტიულ სიაში ქალთა წარმომადგენლობას მნიშვნელოვანდ მიიჩნევენ მმართველი პარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაშიც. „ნაციონალური მოძრაობის“ საქალაქო ორგანიზაციის ლიდერის გოჩა თევდორაძის თქმით, საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიულ სიაში ადგილობრივ დონეზე რამდენიმე აქტიური ქალბატონი იქნება წარმოდგენილი.

„თუ ვინ და როგორ ადგილს დაიკავებს, ამაზე ჯერჯერობით განხილვები არ ყოფილა. თუმცა, ქალბატონები აუცილებლად მოხვდებიან სიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ექნებათ წამყვანი პოზიციები, რადგან ჩვენ მათი სიაში ჩასმა არ გვჭირდება იმისთვის, რომ შევავსოთ ადგილები,“ — ამბობს გოჩა თევდორაძე.

რაც შეეხება „ახალი მემარჯვენების“, ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მამუკა მღვდელიძე აღნიშნულ საკითხს იუმორით უყურებს და სიაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისთვის მარტივ გამოსავალს პოულობს: „ვაპირებთ ჩვენი პარტიის 10

